ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 01 მარტის მორიგი სხდომის

ოქმი N 5

დაბა ხარაგაული

01 მარტი 2021 წელი

სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე- მანანა ბარბაქაძე.

სხდომას ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: პაატა გოგოლაძე, დავით კიკნაძე, გივი თხელიძე, მალხაზ ფხალაძე, აკაკი ლურსმანაშვილი, ოთარ ლურსმანაშვილი, მარინე ხვედელიძე, ეკატერინე შველიძე, იამზე პაქსაშვილი, რუსუდან გიორგაძე, ლენა აბაშიძე, ნონა ზურაბიანი, დოდო ხაჩიძე, შალვა ლურსმანაშვილი, პავლე კიკალიშვილი, ვახტანგ ტალახაძე, იულონ კოპაძე, იუზა კელენჯერიძე, გივი ხიჯაკაძე, ბესიკ ტალახაძე, ზურაბ ხაჩიძე, ქეთევან ზუმბაძე, თორნიკე ავალიშვილი.

სულ 24 წევრი.

სხდომას ასევე ესწრებოდნენ:

მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლები:

ვარლამ ჭიპაშვილი - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე,

ინგა ბერაძე - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის თანაშემწე გენდერული თანასწორობის საკითხებში.

საკრებულოს აპარატის წარმომადგენლები:

ზაალ ორბელაძე - საკრებულოს აპარატის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი,

ნინო თხელიძე - საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში.

საინფორმაციო საშუალებათა წარმომადგენლები:

ეკა შავიძე - ა. (ა). ი. პ „მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრის“ დირექტორი.

მარიამ შარიქაძე - ა. (ა). ი. პ „მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრის“ თანამშრომელი,

თეა ბერიძე - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი,

მაია შათირიშვილი - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების თანამშრომელი,

ლაურა გოგოლაძე - გაზეთ „ჩემი ხარაგაული“-ს მთავარი რედაქტორი,

ნინო კაპანაძე - გაზეთ „ჩემი ხარაგაული“-ს ჟურნალისტი,

ლიკა ხიჯაკაძე - გაზეთ „ჩემი ხარაგაული“-ს ჟურნალისტი.

მოქალაქეები:

დემურ კალანდაძე,

გოგა ბანცაძე.

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს წარუდგინა დღის წესრიგი და კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის დამტკიცების საკითხი.

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულოს 24 წევრი.

მომხრე - 24,

წინააღმდეგი - 0.

დღის წესრიგი მიღებულ იქნა (თან ერთვის).

დღის წესრიგი:

1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიული, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის განხილვისა და შეფასების თაობაზე.

მომხს: ოთარ ლურსმანაშვილი

2. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს 2021 წლის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ.

მომხს: ინგა ბერაძე

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიული, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარის ოთარ ლურსმანაშვილის ანგარიში საკითხზე - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიული, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ (თან ერთვის).

აზრი გამოთქვეს:

თორნიკე ავალიშვილმა, რომელმაც კითხვით მიმართა საკითხის მომხსენებელს, როგორც იურიდიული კომისიის თავმჯდომარე თუ დაინტერესდა მუნიციპალიტეტის მერიასა და ა. ა. ი. პ-ში საკადრო ცვლილებებთან და მერიიდან მის მიერ გამოთხოვილი ინფორმაციაზე არადამაჯერებელ და არასრულყოფილ პასუხთან დაკავშირებით. ამასთანავე, თ. ავალიშვილმა

დაასახელა ის კონკრეტული პირები, რომლებიც გათავისუფლებულ იქნენ მერიიდან და ა. ა. ი. პ-დან. მისივე განმარტებით მერიიდან გამოთხოვილი ინფორმაცია შეეხებოდა მუნიციპალიტეტის გარკვეულ ა. ა. ი. პ-ში დასაქმებულ პირთა რიცხოვნობას მათი სახელისა და გვარის მითითებით.

დასმულ შეკითხვას ო. ლურსმანაშვილმა უპასუხა, რომ გაარკვევდა აღნიშნულ საკითხებს.

პაატა გოგოლაძემ, რომელმაც საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო"-ს სახელით დადებითად შეაფასა აღნიშნული კომისიის საქმიანობა და მოუწოდა კოლეგებს მხარი დაეჭირათ კომისიის საქმიანობის დადებითად შეფასებისათვის.

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს გააცნო აღნიშნულ საკითხზე განკარგულების პროექტი და კენჭისყრაზე დააყენა კომისიის საქმიანობის დადებითად შეფასების საკითხი.

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულოს 24 წევრი.

მომხრე - 22,

წინააღმდეგი - 0,

თავი შეიკავა - 2.

საკრებულომ გადაწყვიტა: განკარგულება მიღებულ იქნეს (თან ერთვის).

მოისმინეს: გენდერული თანასწორობის საკითხებში ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის თანაშემწისა და ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს მდივნის ინგა ბერაძის ინფორმაცია საკითხზე - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს 2021 წლის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ (თან ერთვის).

აზრი გამოთქვეს:

ეკატერინე შველიძემ, რომელმაც განაცხადა, რომ მუნიციპალიტეტში მოქმედი გენდერული თანასწორობის საბჭო არის კომპეტენტური და თავის ფუნქციებს ასრულებს ყოველთვის მაღალ დონეზე და გამჭირვალედ.

იუზა კელენჯერიძემ, რომელმაც დასვა შეკითხვა თუ რა გაკეთდა სკოლებში გენდერული თანასწორობის საკითხებზე ცნობიერების ამაღლების მიზნით, რის შესახებაც მისივე განმარტებით წარსულში ყოფილა დაგეგმილი გარკვეული ღონისძიებები.

დასმულ შეკითხვას უპასუხა გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ დავით კიკნაძემ, რომელმაც განაცხადა, რომ სკოლებში ერთი საათი დაეთმობა გენდერული თანასწორობის საკითხებს. მისივე განმარტებით აღნიშნულ საკითხზე სხვა აქტუალურ თემებთან ერთად ცნობიერების ამაღლების მიზნით შეხვედრებს ჩაატარებენ როგორც ბაღის აღსაზრდელებთან ასევე მათ მშობლებთან.

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს გააცნო აღნიშნულ საკითხზე განკარგულების პროექტი და კენჭისყრაზე დააყენა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს 2021 წლის სამოქმედო გეგმის დამტკიცების საკითხი.

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულოს 24 წევრი.

მომხრე - 22,

წინააღმდეგი - 0,

თავი შეიკავა - 2.

საკრებულომ გადაწყვიტა: განკარგულება მიღებულ იქნეს (თან ერთვის)

ზემოაღნიშნული საკითხების განხილვის შემდეგ, საკრებულოს სხდომაზე დამსწრე მოქალაქე დემურ კალანდაძემ სხდომის თავმჯდომარის თანხმობით გააკეთა განცხადება სოფელ ლაშეში მის მიერ დაფუძნებული ფერმერული მეურნეობის ფუნქციონირებასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ ხსენებული მეურნეობის განვითარების ხელის შეშლის მიზნით, გარკვეული პირები, რომელთა ვინაობა არ დაუსახელებია ცეცხლსასროლი იარაღით უხოცავენ აღნიშნული მეურნეობის კუთვნილ თხებს. მოცემულ საკითხთან დაკავშირებით მან საკრებულოს წევრთაგან მოითხოვა მორალური თანადგომა და შესაძლებლობის ფარგლებში დახმარების გაწევა ასეთი უკანონო ქმედებების წინააღმდეგ ბრძოლაში.

კენჭისყრის შედეგებზე დაკვირვებას ახდენდა საკრებულოს აპარატი.

ამით საკრებულოს დღის წესრიგით განსახილველი საკითხები ამოიწურა და სხდომა დახურულად გამოცხადდა.

საკრებულოს თავმჯდომარე **მანანა ბარბაქაძე**